ახალგაზრდა პროფესიონალთა პროგრამაში (Young Professionals Programme (YPP))
2014 წლის გამოცდის ფარგლებში კონკურსის პირობები

- კონკურსი გამოცხადდება შემდეგ სპეციალობებზე:

➢ Economic Affairs
➢ Human Rights
➢ Information System and Technology
➢ Photography
➢ Political Affairs
➢ Radio Production.

- YPP-ის წერითი გამოცდა გაიმართება 2014 წლის 4 დეკემბერს (ხუთშაბათი).

- გამოცდის შესახებ ინფორმაციის გავრცელება გაეროს ადამიანური რესურსების მართვის ოფისისა და თავად მონაწილე ქვეყნების პასუხისმგებლობაა. გაეროს ადამიანური რესურსების მართვის ოფისი ინფორმაციას, ძირითადად, ვებ-გვერდის - www.careers.un.org საშუალებით ავრცელებს. ასევე იყენებენ გლობალურ ბეჭდვით მედიას (Economist, Le Mond) და სოციალურ ქსელებს (Facebook, Twitter). ინფორმაციის გავრცელება ხდება აგრეთვე, გაეროს საინფორმაციო ცენტრებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით. ამავდროულად, ვინაიდან წევრმა ქვეყნებმა უკეთ იციან, თუ რა სახის საშუალებების გამოყენებაა უმჯობესი მათ ქვეყნებში, გაეროს ადამიანური რესურსების მართვის ოფისი მონაწილე ქვეყნებს სთხოვს დახმარებას კონკურსის პოტენციურ მონაწილეთა შორის ინფორმაციის გავრცელებაში. მათი თქმით, წევრი ქვეყნების შესაბამისმა სამინისტროებმა თავიანთ ვებ-გვერდებზე შეიძლება განათავსონ ინფორმაცია YPP-ის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ ასევე რადიო და ტელევიზია. მნიშვნელოვანია დიასპორის გამოყენება გამოცდის შესახებ ინფორმაციის გავრცელებაში, ვინაიდან ხშირად ამა თუ იმ ქვეყნის მოქალაქეები განათლებას საზღვარგარეთ იღებენ.

- აპლიკაციები მიიღება 2014 წლის 14 ივნისი - 27 აგვისტოს პერიოდში. სპეციალობების მიხედვით განაცხადების მიღება მოხდება სამ ფაზად:

➢ 14 ივნისი-13 აგვისტო (სპეციალობებზე: Information Systems and Technology; Political Affairs);
➢ 21 ივნისი -20 აგვისტო (სპეციალობებზე: Economic Affairs; Radio Producer);
➢ 28 ივნისი - 27 აგვისტო (სპეციალობებზე: Human Rights, Library/Information Management; Photography).

- კონკურსში მონაწილეობისათვის საჭირო წინაპირობებია:

➢ აპლიკანტი უნდა იყოს იმ ქვეყნის მოქალაქე, რომელსაც მიმდინარე წელს YPP-ში მონაწილეობის უფლება აქვს;
➢ გამოცდის დღეს უნდა იყოს 32 წლის ან უფრო ახალგაზრდა (დაბადებული1982 წლის 1 იანვარს ან შემდგომ);
➢ ფლობდეს უმაღლეს განათლებას (სავალდებულოა ბაკალავრის დიპლომი) იმ სპეციალობის შესაბამის სფეროში, რომელზეც შეაქვს განაცხადი;
➢ თავისუფლად ფლობდეს ინგლისურ ან ფრანგულ ენას;
➢ მუშაობის გამოცდილება სავალდებულო არ არის.

- მ.წ. სექტემბერ-ოქტომბრის პერიოდში მოხდება განაცხადების განხილვა. აპლიკაციების პირველად განხილვას სისტემა ახდენს. მაგ. თუ აპლიკანტის ასაკი არ შეესაბამება მოთხოვნილ კრიტერიუმს, სისტემა ავტომატურად გამორიცხავს ასეთ განაცხადს. განაცხადის მიღების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელ-ფოსტის საშუალებით. გაეროს ადამიანური რესურსების მართვის ოფისის თხოვნაა, აპლიკანტებმა მიუთითონ ელ-ფოსტის რამდენიმე ალტერნატიული მისამართი.

- იმისათვის, რომ ქვეყანაში გაიხსნას საგამოცდო ცენტრი, საჭიროა შეგროვდეს სულ მცირე 15 აპლიკანტი. თითოეული ქვეყნიდან თითოეულ სპეციალობაზე მიიღება მაქსიმუმ 40 აპლიკაცია *(თუ უფრო მეტი განცხადება შემოვა, გაეროს ადამიანური რესურსების ოფისი მოახდენს მათგან 40 საუკეთესოს შერჩევას).* მიმდინარე წელს კონკურსი 7 სპეციალობაზე ცხადდება, შესაბამისად, თითო ქვეყნიდან მოხდება ჯამში, მაქსიმუმ 280 განცხადების მიღება.

- აუცილებელი არაა, საქართველოს მოქალაქემ გამოცდა ჩააბაროს თბილისში. თუკი აპლიკანტი იმყოფება საზღვარგარეთ, მას შეუძლია მიმართოს ტერიტორიულად ყველაზე ახლოს მდებარე საგამოცდო ცენტრს *(გამოცდის ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯი თავად აპლიკანტმა უნდა გაიღოს).* ამისათვის მან განცხადების შევსებისას უნდა მიუთითოს გამოცდის ჩაბარების მიზნით მისთვის უფრო მოსახერხებელი ადგილმდებარეობა.

- კანდიდატები მიიღებენ შეტყობინებას გამოცდაზე მათი დაშვების შესახებ. აპლიკანტებს მათი განაცხადის სტატუსის შემოწმება შეეძლებათ ასევე ვებ-გვერდზე: http://careers.un.org

- წერითი გამოცდა 4.5 საათი გრძელდება და მოიცავს ორ ნაწილს - ზოგადს და პროფესიასთან დაკავშირებულს *(general paper and specialized paper).* პირველი ნაწილი შეიძლება შესრულდეს ინგლისურ ან ფრანგულ ენაზე და აფასებს აპლიკანტის ზოგად წერით უნარს და საერთაშორისო ურთიერთობების ცოდნას. წერილობითი გამოცდის სპეციალიზებული ნაწილი აფასებს აპლიკანტის ცოდნის შესაბამისობას მიერ შერჩეულ პოზიციასთან *(job family)* და შეიძლება დაიწეროს გაეროს ექვსი ოფიციალური ენიდან ერთ-ერთზე.

- წერილობითი გამოცდის შემდეგ კონკურსანტებს ჩაუტარდებათ ზეპირი გამოცდა 2015 წლის აპრილი-მაისის პერიოდში. გამოცდის შედეგები ცნობილი გახდება ივნისში.

- თბილისში საგამოცდო ცენტრის გახსნის შემთხვევაში გაეროს ადამიანური რესურსების მართვის ოფისს დასჭირდება ქართული მხარის დახმარება ადგილზე, რაც გამოიხატება საგამოცდო მასალის მიღებაში, რომელიც კონფიდენციალურია და დალუქულ მდგომარეობაში შენახვაში გამოცდამდე *(თუკი მასალა გახსნილი აღმოჩნდება, გამოცდა გაუქმდება),* გამოცდის ჩასატარებლად შესაბამისი ფართის გამოყოფაში და გამოცდის მსვლელობისას დისციპლინის კონტროლის საკითხში დახმარებაში. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით გაეროს ადამიანური რესურსების მართვის ოფისი დაუკავშირდება საკონტაქტო პირს - ქ-ნ ელენე აგლაძეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს.

- გამარჯვებული კონკურსანტების მონაცემები განთავსდება სპეციალურ სიაში და ისინი მიიღებენ გაეროს სისტემაში დასაქმების წინადადებას *(წარმატებულ კონკურსანტებს შესაძლებლობა ექნებათ დასაქმდნენ გაეროში P-1 ან P-2 პოზიციებზე).* დასაქმების შესახებ თავდაპირველი წინადადება ითვალისწინებს ორწლიან ხელშეკრულებას, რის შემდეგაც, დამსახურების შესაბამისად, შესაძლებელია სისტემაში მუშაობის გაგრძელება. მოცემული ბაზა მოქმედებს ორი წლის განმავლობაში. თავდაპირველ შეთავაზებაზე უარის თქმის შემთხვევაში *(წარსულში იყო შემთხვევები, როცა უკეთესი შეთავაზების მოლოდინით აპლიკანტები უარს ამბობდნენ ამა თუ იმ წინადადებაზე),* ამ პირს ამოიღებენ ზემოხსენებული სიიდან. მუშაობის დაწყებამდე გამარჯვებულ კონკურსანტებს ჩაუტარდებათ 2 კვირიანი საორიენტაციო პროგრამა.